**ნანა ბაღდავაძე**

როგორც მხატვარი, მე დაინტერესებული ვარ იმ ყველაფრის დაკავშირებით, რაც ერთმანეთთან და სამყაროსთან საერთო გვაქვს.
ჩემი შემოქმედებითი პროცესი მე ცხოვრებას მასწავლის და იმას, თუ ვინ ვარ მე.
ჩემი შთაგონება მაშინ მოდის, როდესაც მე ნამდვილად ვიცი და მობილიზებული ვარ. მე ის უნდა დავიმსახურო.
კლასიკურ ტრადიციებში პროფესიულად განსწავლულმა, არტისტული თავისუფლება მოვიპოვე ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასვლით.

ჩემი დისთვის ძვლის ტვინის წარმატებით გადაცემით და იმის დანახვით, რომ იგი ფაქტობრივად, იმქვეყნიდან დაბრუნდა, მე განმივითარდა გენეტიკისადმი აღფრთოვანება და დავიწყე DNA-ს ვიზუალიზაცია და ხატვა.
ჩემს ხელოვნებაში საკულტო ორმაგი სპირალი არის ცხოვრების, ხელახლა დაბადების და მკურნალობის სიმბოლო. ესაა პატარა ბლოკი, რომელიც ყველას ერთნაირს გვხდის და რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ყველას აშკარა ინდივიდუალობას გვანიჭებს.
ჩვენ ყველანი ამ ორგანული ცოცხალი ენისგან მოვდივართ და 99,9%-ს ვაზიარებთ.
„რა ფერისაა შენი დნმ?“ პრეზენტაციაა იმისა, რაც ჩვენ, როგორც ხალხს, გვაკავშირებს.

მიმდინარე სერიები ზეთში, აკრილსა და ციფრულ მედიაში, ვიზუალურად აერთიანებს ჩემს პიროვნებას, მადლიერების უნივერსალურ გამოხატვას ცხოვრებასა და შიშთან, ეს არის დნმ თავისი ვიზუალური და სიმბოლური მშვენიერებით.
რითმითა და ფორმების კომპლექსურობით მოცულ ორმაგ სპირალებში მე ვხედავ ხელოვნებისა და მეცნიერების ცეკვას.
ისტორიის წიაღში თითოეული სესხულობს ცოდნას მეორისგან და იყენებს კიდევ სხვას, რომ აღიქვას და გამოხატოს თავისი.

*„ხელოვანი აღმოაჩენს საკუთარ ვიზუალურ სიმბოლოს ცხოვრებისა თუ სიკვდილის მომენტებში“.*
**ივან ამატო,** Chemical & Engineer News, “Nana’s Nano Vision.”

*„რაც უფრო დიდხანს ვუყურებთ ამ შესანიშნავ გამოსახულებებს, მით უფრო მეტად იწვევენ ისინი გაუგებარ კითხვებს ჩვენი ადამიანური იდენტობის შესახებ და პასუხებს იმ კითხვაზე, რომელიც ადამიანის შემოქმედებით სულშია და რომელიც აერთიანებს ჭეშმარიტ მეცნიერებასა და ხელოვნებას“.*
**იაკობ ნიდლმენი,** პროფესორ-ემერიტუსი, სან ფრანცისკოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
„ამერიკის სული“ და „რა არის ღმერთი“ - ავტორი.

*„ნანა ბაღდავაძის დნმ-ის ნამუშევრების დათვალიერებას მივყავარ იმ ღრმა და შესაძლოა სარისკო მოსაზრებამდე, თუ ვინ ვართ ჩვენ... სერია იწყება ცხოვრებისა და სინათლის და მაგიურობის შეცნობადი ნაწილების ძიებით, რაც გვაკავშირებს ჩვენ შემოქმედებითობის კორპუსთან“.*
**ჯიმ მაგნერი,** Capitol Community News, “The Artist’s Portrait: Nana Bagdavadze.”